ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5234450

ნომერი: AR1794397

თარიღი : 21.12.2020

გაცემის თარიღი : 24.12.2020

გაცნობის თარიღი : 24.12.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა ფშაველა , N 6; ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა ფშაველა , N 6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე ჭელიძე პ/ნ 01008020581
- თბილისი დ.არაყიშვილის II ჩიხი N 11 ბ. 1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
მონტაჟზე გააბლეთ წარმოსახვითი საზღვარი საკუთრებაში არსებულ ფართებსა და მომიჯნავედ (ზევით, გვერდით და ასევე საერთო სარგებლობის ფართებს შორის), მოგახსენებთ რომ დაგეგმილი სარეკონსტრუქციო სამუშაოები უნდა მოეწყოს მხოლოდ საკრგებლობაში არსებულ ფართის ფასადზე აღნიშნულის გათვალისწინებით დაკორექტირდეს ფოტომონტაჟი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოდგენილ იქნას ასეთი ფართების მესაკუთრეთა თანხმობები.

ასევე მოგახსენებთ რომ ვინაიდან კიბის სარეკონსტრუუქციო სამუშაოები და ასევე პანდუსის მოწყობა იგეგმება საკადასსტრო საზღბრენს გარეთ, წარმოსადგენია ქ, თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა,

გაითვალისწინეთ: რომ "რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე, აგრეთვე არ ეხება წარწერას საქონლის გამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა, ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე". გამომდინარე აქედან, სარეკლამო აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას.
ამასთან გაცნობებთ რომ ვინაიდან სარეკონსტრუქციო სამუსაოები ასევე მოიცავს საერთო საკუთრების ფართის ფასადსაც (სადარბაზო) დამატებით წარმოსადგენია სათანადო წესით დამოწმებული კრების ოქმი, რომლის თანახმად, კრებას დაესწრო ამხანაგობის წევრთა მინიმუმ 2/3 და გადაწყვეტილება მიღებული იქნა დამწრეთა ნახევარზე მეტის მიერ.
გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.